რისკი №2

სცენარი - ქარიშხალი

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოდან საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში შევიდა შეტყობინება, რომ ყულევის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე მოსალოდნელია ქარიშხალი.

04:00 საათზე მოსახლეობიდან შევიდა შეტყობინება, რომ ქარიშხლის შედეგად საფრთხე ექმნება მათ საცხოვრებელ სახლებს, საკომუნიკაციო და ინფრასტრუქტურულ ნაგებობებს და გაყვანილობებს, შავი ზღვის ყულევის ტერმინალის ტერიტორიაზე არსებულ ინფრასტრუქტურას.

შეტყობინების შესვლისთანავე სამსახური გაემართა მოვლენის ეპიცენტრში, ადგილზე მისვლისას დაფიქსირდა, რომ გადახდილია 14 საცხოვრებელი სახლისა და სკოლის სახურავი, მოთხრილია ნარგავები, დაზიანებულია ენერგო და გაზმომარაგების კომუნიკაციები, ენერგომომარაგების გარეშე დარჩა ადმინისტრაციული ერთეულის მნიშვნელოვანი ნაწილი, დაზიანებულია რამდენიმე ავტომანქანა და ძლიერი შტორმის მიერ დაგროვილი შემოსული ტალღების გამო დატბორილი და პარალიზებულია სანიაღვრე არხები, რამაც გამოიწვია საცხოვრებელი სახლების დატბორვა.

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური აცხადებს, რომ არ არის საჭირო მოსახლეობის ევაკუაცია, სამსახურთან ერთად ხმამაღალ შეტყობინებას ავრცელებს საპატრულო პოლიცია და ასევე 05:15 საათზე მუნიციპალიტეტის შენობაში შეკრებილია საგანგებო შტაბი.

დაახლოებით 11:00 საათზე მოვლენა აღარ წარმოადგენს საფრთხეს და საგანგებო სიტუაციების სამსახური შტაბს უფლებას აძლევს დაიწყოს აღდგენითი სამუშაოები

საგანგებო სიტუაციის განვითარების სცენარის მიხედვით გასატარებელი ღონისძიებები

პ რ ე ვ ე ნ ც ი ა

წინამდებარე საგანგებო მართვის გეგმის მიხედვით გამოვლენილი რისკი N2-ის (ქარიშხალი) ფარგლებში გასატარებელი პრევენციული ღონისძიებები:

N	ღონისძიება	განხორციელების პერიოდი	საორიენტაციო მონაკვეთი	უწყება
1	ყულევისა ტერიტორიაზე სანიაღვრე და საკანალიზაციო არხების გაწმენდითი სამუშაოები	წელიწადში ორჯერ	ადმინისტრაციული ერთეულების ტერიტირია	ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის სამსახური საჭიროების შემთხვევაში დამატებით მომსახურების შესყიდვა განხორციელდება სახელმწიფო შესყიდვების საფუძველზე და მერიის სამსახურების მიერ შედგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის მიხედვით

3	ყულევის ადმინისტრაციულ ერთეულში ქარსაცავი ზოლის გაძლიერება	საჭიროების მიხედვით	ადმინისტრაციული ერთეულების ტერიტირია	ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის სამსახური საჭიროების შემთხვევაში დამატებით მომსახურების შესყიდვა განხორციელდება სახელმწიფო შესყიდვების საფუძველზე და მერიის სამსახურების მიერ შედგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის მიხედვით
4	დაზიანებული ან რისკის გამომწვევი ხეების გადაბელვა ამოღება	საჭიროების მიხედვით	ადმინისტრაციული ერთეულების ტერიტირია	მერიის ინფრასტრუქტურის სამსახური
5	არსებული საკომუნიკაციო საშუალებების გადამცემი ბოძებისა და ძირითადი გამანაწილებელი პუნქტების (გაზი ელექტროენერგია) მონიტორინგი, აღდგენა, შეცვლა	კალენდარული წელი		მერია, საკომუნიკაციო სერვისების მიმწოდებელი კომპანიები „გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ სს „ეპ ჯორჯია“ შპს „სოკარჯორჯია“ სს „სილქნეტი“ შპს „მაგთიკომი“

მ ზ ა დ ყ ო ფ ნ ა

წინამდებარე საგანგებო მართვის გეგმის მიხედვით გამოვლენილი რისკი N2-ის (ძლიერი სეტყვა/ქარიშხალი) ფარგლებში გასატარებელი მზადყოფნის ღონისძიებები:

N	გასატარებელი ღონისძიებები	პასუხისმგებელი პირი	განხორციელების ვადები	შენიშვნა
1	მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება საგანგებო სიტუაციების და გეგმით განსაზღვრული რისკების და სცენარების შესახებ	საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური	არანაკლებ წელიწადში ერთხელ	
2	საევაკუაციო წვრთნა	საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური	არანაკლებ წელიწადში ერთხელ	
3	რისკის შემცველ ტერიტორიაზე განსაკუთრებული მნიშვნელობის შენობა-ნაგებობების მონიტორინგი უსაფრთხოების კუთხით	საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური მერიის წარმომადგენლებთან ერთად	არანაკლებ წელიწადში ერთხელ	
4	სახანძრო-სამაშველო, სამედიცინო, ქიმიური და რადიაციული აღჭურვილობის ვარგისიანობის შეფასება და სრულყოფა-განახლება	საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური	არანაკლებ წელიწადში ერთხელ	

5	მერიის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური და საბიუჯეტო საფინანსო სამსახური უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მინიმუმ 1 სასტუმროსთან მოლაპარაკებას, საგანგებო სიტუაციების დროს ევაკუირებულ მოქალაქეთა განთავსებისათვის და ფასთა კვლევას მომდევნო წლის ბიუჯეტის დაგეგმვისას საორიენტაციო ხარჯების გათვალისწინებისათვის	ხობის მუნიციპალიტეტის მერია	არანაკლებ წელიწადში ერთხელ	
6	მერიის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურთან ერთად უზრუნველყოფს მოთხოვნის შემუშავებას და შესაბამისი ანგარიშგების შედგენას პირველადი მოხმარების საგნების შეძენისა და მზადყოფნისათვის (პრიორიტეტულია საძილე ტომრები, კარვები, მედიკამენტები.)	ხობის მუნიციპალიტეტის მერია	არანაკლებ წელიწადში ერთხელ	
7	მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახური საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურთან ერთად უზრუნველყოფს საგანგებო სიტუაციების დროს საევაკუაციო მოქალაქეთა ტრანსპორტირებისათვის საჭირო ტრანსპორტის მოძიებას მუნიციპალიტეტში არსებულ კერძო ან/და საჯარო პირებთან მოლაპარაკებების გზით, საამისოდ საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური უზრუნველყოფს შესაბამისი წლის ბიუჯეტში ფინანსების მობილიზებას.	ხობის მუნიციპალიტეტის მერია	არანაკლებ წელიწადში ერთხელ	
8	მერიის ზედამხედველობის სამსახური საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურთან ერთად უზრუნველყოფს, საგანგებო სიტუაციების დროს საევაკუაციო მოქალაქეთა საკვებით უზრუნველყოფისათვის საჭირო მარაგების მოძიებას მუნიციპალიტეტში არსებულ საკვების მიმწოდებელ დაწესებულებებთან წინასწარი მოლაპარაკების გზით, საამისოდ საბიჯეტო სამსახური უზრუნველყოფს შესაბამისი წლის ბიუჯეტში ფინანსების მობილიზებას.	ხობის მუნიციპალიტეტის მერია	არანაკლებ წელიწადში ერთხელ	
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში უზრუნველყოფა				
7	შშმ პირებისთვის სათანადო ინსტრუქტაჟების ჩატარება	ხობის მუნიციპალიტეტის მერია	ყოველ 6 თვეში ერთხელ	
8	შშმ პირებისათვის დახმარების გაწევის მიზნით შესაბამისი პირების (პირველ ყოვლისა დამხმარე პერსონალი) ინსტრუქტირება	ხობის მუნიციპალიტეტის მერია	ყოველ 6 თვეში ერთხელ	

9	შშმ პირებისათვის არსებული საევაკუაციო მექანიზმების გადამოწმება	ხობის მუნიციპალიტეტის მერია	ყოველ 6 თვეში ერთხელ	

რ ე ა გ ი რ ე ბ ა

არსებული ინფორმაციის საფუძველზე იგეგმება საგანგებო სიტუაციების შედეგების სალიკვიდაციო და სხვა გადაუდებელი ღონისძიებები, ხდება საჭირო საავარიო-სამაშველო ძალებისა და საშუალებების განსაზღვრა

საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების მართვის უზრუნველყოფის ღონისძიებებია:

ა) განგაშის გამოცხადება და შეტყობინება;

ბ) საველე ოპერაციების შტაბის გაშლა და საგანგებო რეაგირების ჯგუფების დაკომპლექტება;

გ) საგანგებო სიტუაციების ზონებიდან ინფორმაციის მიღება, გადამუშავება, საგანგებო ვითარების შეფასება და შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა;

დ) საგანგებო სიტუაციების ზონებში საგანგებო სიტუაციებზე რეაგირებისა და მათი შედეგების ლიკვიდაციის (საავარიო-სამაშველო, ადამიანთა ძებნის, სამაშველო და სხვა გადაუდებელი სამუშაოების) განხორციელება;

ე) ოპერაციების კოორდინირება;

ვ) ლოჯისტიკური უზრუნველყოფა;

ზ) ბრძანებების გაცემა და მათი შესრულების კონტროლი;

თ) ინფორმაციის მართვა;

ი) მოთხოვნების დამუშავება ეროვნული დახმარების შესახებ;

კ) რესურსების მიღება და მართვა;

ლ) რეაგირების ძალების პერსონალის უსაფრთხოების და ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფა;

მ) ფინანსების მართვა;

ნ) დაზვერვითი ოპერაციების ჩატარება, შემფასებელი პერსონალის ან ჯგუფის მოქმედებაში მოყვანა და გეოგრაფიულ-ინფორმაციული სისტემების ამოქმედება (GIS);

ო) საგანგებო სიტუაციების დროს არასამთავრობო და საერთაშორისო სამაშველო ჯგუფების გამოყენების ორგანიზება

დაუყოვნებლივ იწყება საავარიო-სამაშველო, ადამიანთა ძებნის, სამაშველო და სხვა გადაუდებელი სამუშაოების, სამედიცინო დახმარების, საევაკუაციო, გზების გაწმენდის ორგანიზება

საგანგებო სიტუაციის ზონაში მოსახლეობის ევაკუაციის უზრუნველყოფის მიზნით იხსნება ევაკუირებულთა შემკრები, საშუალედო, მიმღები პუნქტების შესაბამისად, ორგანიზება უკეთდება ევაკუირებულთა აღრიცხვის, სამედიცინო დახმარების, სურსათით, ცხოველის საკვებისა და პირველადი მოხმარების საგნებით, წყლის აუცილებელი მარაგით და საცხოვრებლით უზრუნველყოფას

ორგანიზება უკეთდება მოსახლეობის სახანძრო, საინჟინრო, ქიმიური, რადიაციული, სამედიცინო, ბიოლოგიური და ფსიქოლოგიური დაცვის ღონისძიებებს

წინამდებარე საგანგებო მართვის გეგმის მიხედვით გამოვლენილი რისკი №2-ის (ქარიშხალი) ფარგლებში გასატარებელი რეაგირების ღონისძიებები:

1. **ცხადდება განგაში;**

2. შეტყობინება ეგზავნება მუნიციპალიტეტის საგანგებო სიტუაციების მართვაზე პასუხისმგებელ პირს;

3. საგანგებო სიტუაციების მართვაზე პასუხისმგებელი პირი დაუყოვნებლივ კრებს საგანგებო სიტუაციების შტაბს;

4. იწყება პირველადი ღონისძიებების განხორციელება:

- საჭიროების შემთხვევაში იწყება მოსახლეობისა და ადგილზე მყოფი სხვა პირების ევაკუაცია საგანგებო სიტუაციის ზონიდან
- მიუხედავად ევაკუაციის აუცილებლობის ან ასეთი აუცილებლობის არ არსებობის შემთხვევაში იწყება საგანგებო სიტუაციების მართვის ქმედებებში ჩართული პერსონალის, მოსახლეობისა და ადგილზე მყოფი სხვა პირების ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით უზრუნველყოფა, სამკურნალო, სანიტარულ_ჰიგიენური და ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება
- საჭიროების შემთხვევაში იწყება მატერიალურ ფასეულობათა ევაკუაცია უსაფრთხო ზონებში, შესაბამისი დაცვის ორგანიზება
- სამაშველო და ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება
- მართვის კავშირგაბმულობის და შეტყობინების სისტემების მუდმივი მზადყოფნის უზრუნველყოფა
- საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფა, მათ შორის სატრანსპორტო მიმოსვლის რეგულირება

მართვის შეტყობინებისა და კავშირგაბმულობის ორგანიზება

საგანგებო შტაბის წევრებს და მათ დაქვემდებარებულ პირებს ან/და საგანგებო სიტუაციის ლიკვიდაციაში ჩართულ სახვა პირებს შორის კავშირი განხორციელდეს სატელეფონო საშუალებებით საქალაქო ან მობილური სატელეფონო კავშირგაბმულობის მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში კავშირი განხორციელდეს სპეციალური რაციებით ან კურიერების მეშვეობით

<u>**განსაკუთრებული შემთხვევები ქარიშხალის დროს:**</u>

თუ ქარიშხალმა გამოიწვია რადიაციული დაბინძურება

მიღებული შეტყობინების საფუძველზე, შესრულდეს საგანგებო სიტუაციის დროს წარმოქმნილი განსაკუთრებული შემთხვევებისას გასატარებელი ღონისძიებების გეგმის (ცხრილის (№1) სახით მოცემული ქვემოთ) 1-8 პუნქტებით გათვალისწინებული ქმედებები მუნიციპალური საგანგებო სიტუაციების მართვის ორგანოების მითითებათა გათვალისწინებით

თუ ქარიშხალმა გამოიწვია ქიმიურად საშიშ ობიექტებზე ავარია

მიღებული შეტყობინების საფუძველზე, შესრულდეს საგანგებო სიტუაციის დროს წარმოქმნილი განსაკუთრებული შემთხვევებისას გასატარებელი ღონისძიებების გეგმის (იხ ცხრილი №1) 9-15 პუნქტებით გათვალისწინებული ქმედებები, დაწესდეს კონტროლი ქიმიურ დაბინძურებაზე და მხოლოდ ამის შემდეგ მიეცეს უფლება მოსახლეობას დაუბრუნდეს საკუთარ გარემოს

თუ ქარიშხალმა გამოიწვია ხანძრის (ნგრევების) შემთხვევა:

- გამოძახებულ იქნას სახანძრო-სამაშველო სამსახური (ტელ: 112);
- ხანძრის წარმოქმნის შემთხვევაში თუ საშიშროება ემუქრება მოსახლეობას, უნდა მოხდეს ევაკუაციის ორგანიზება და შესრულდეს საგანგებო სიტუაციის დროს წარმოქმნილი განსაკუთრებული შემთხვევებისას გასატარებელი ღონისძიებების გეგმის (იხ ცხრილი №1) 16-19 პუნქტებით გათვალისწინებული ქმედებები

თუ ქარიშხალმა გამოიწვია აფეთქება:

შესრულდეს საგანგებო სიტუაციის დროს წარმოქმნილი განსაკუთრებული შემთხვევებისას გასატარებელი ღონისძიებების გეგმით გათვალისწინებული ქმედებები.

ცხრილი №1

საგანგებო სიტუაციის დროს წარმოქმნილი განსაკუთრებული შემთხვევებისას გასატარებელი ღონისძიებების გეგმა

<u>აღნიშნული ღონისძიებები ხორციელდება ძირითადი ღონისძიებების პარალელურად და კოორდინირებული უნდა იქნას ძირითადი მოვლენის აღმოფხვრაში ჩართული ძალების მოქმედებასთან</u>

N	გასატარებელი ღონისძიებები	განხორციელების ვადები (დრო მითითებული სიტუაციის დადგომიდან)	განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირები
1	**2**	**3**	**4**

ა) რადიაციულად სახიფათო ობიექტზე ავარიის დროს (რადიაციული დაბინძურება)

1	მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობისა და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის პირადი შემადგენლობის შეკრება, ვითარების გაცნობა და ამოცანების დასახვა	,,სთ''+0,5სთ არასამუშაო დროს	საგანგებო შტაბის უფროსი, კავშირგაბმულობისა და შეტყობინების ღონისძიებების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი
2	აეკრძალოს შენობის დატოვება (უკიდურესი შემთხვევის გარდა) ობიექტზე მყოფთა დაცვის რეჟიმზე გადასვლის მითითებამდე	,,სთ''+0,5სთ	საგანგებო შტაბის უფროსი, შენობის/ობიექტის ხელმძღვანელობა
3	მოხდეს შენობის/ობიექტის კარფანჯრების ჰერმეტიზაცია, გამოირთოს გარე სავენტილაციო ქსელი	,,სთ''+1,5სთ	საგანგებო შტაბის უფროსი, შტაბის უფროსის მოადგილე მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის დარგში, შენობის/ობიექტის ხელმძღვანელობა
4	შეიქმნას ქიმიურ-რადიაციული სათვალთვალო საგუშაგო	,,სთ''+0,5სთ	შტაბის უფროსი, სამედიცინო უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი
5	საიზოლაციო აირწინაღების (დოლბანდი) და მოსასხამების დამზადების ორგანიზება	,,სთ''+2 სთ	შტაბის უფროსის მოადგილე მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის დარგში, სამედიცინო უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი, შენობის/ობიექტის ხელმძღვანელობა
6	იოდიზირებული პრეპარატების გაცემა ძირითად შემადგენლობაზე	,,სთ''+2,5 სთ	სამედიცინო უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი, შენობის/ობიექტის ხელმძღვანელობა
7	განხორციელდეს მოქალაქეების განთავსება დამცავ ნაგებობებში	,,სთ''+ 1,5 სთ	საგანგებო შტაბის უფროსი შტაბის უფროსის მოადგილე მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის დარგში,

			სატრანსპორტო უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი, სურსათითა და წყლით უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი
8	განხორციელდეს შესაბამისი დაცვითი რეჟიმის გამოცხადებისთანავე	რეკომენდაციის თანახმად	შტაბის წევრი წესრიგისა და მატერიალური ფასეულობის დაცვის უზრუნველყოფის დარგში

ბ) ქიმიურად საშიშ ობიექტზე წარმოქმნილი ავარიის დროს/ ქიმიური დაბინძურების დროს

9	მოხდეს ობიექტის პირადი შემადგენლობის შეტყობინება ხმოვანი შეტყობინების საშუალებით. ქიმიურად დაბინძურებული რაიონიდან გასვლის მითითებამდე, მოხდეს შენობაში მყოფი პირადი შემადგენლობის შეკრება და კარ-ფანჯრების ჰერმეტიზაცია	,,სთ''+0,3 სთ	საგანგებო შტაბის უფროსი შენობის/ობიექტის ხელმძღვანელობა
10	ძირითადი შემადგენლობისათვის მოხდეს საიზოლაციო აირწინაღის (დოლბანდი) დამუშავება ქლორით დაბინძურების შემთხვევაში 2%-იანი სოდიანი, ხოლო ამიაკით დაბინძურებისას 5%-იანი ლიმონ (ბორის) მჟავის ხსნარით	,,სთ''+0,5 სთ	საგანგებო შტაბის უფროსი, შტაბის უფროსის მოადგილე მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის დარგში, შენობის/ობიექტის ხელმძღვანელობა
11	მოხდეს ურთიერთშეთანხმებული მოქმედება საგანგებო შტაბის, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ადგილობრივ ორგანოსთან და სამედიცნო დაწესებულებებთან	,,სთ''+1 სთ	საგანგებო შტაბის უფროსი, სამედიცინო უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი
12	შეიქმნას ქიმიურ-რადიაციული სათვალთვალო საგუშაგო, მზადყოფნაში მოყვანილი იქნას სამაშველო ჯგუფები, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის რგოლები	,,სთ''+1,5 სთ	შტაბის წევრი საზოგადოებრივი წესრიგისა და მატერიალური ფასეულობის დაცვის უზრუნველყოფის დარგში, სამედიცინო უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი
13	საგანგებო შტაბის მითითებისამებრ მოხდეს შენობაში მყოფი პირების გადაყვანა უსაფრთხო ადგილას	,,სთ''+0,5 სთ	საგანგებო შტაბის უფროსი; შტაბის უფროსის მოადგილე მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის დარგში, სატრანსპორტო უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი, სურსათთა და წყლით უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი შენობის/ობიექტის ხელმძღვანელობა
14	დაბინძურებული ზონებიდან გაყვანისას მოხდეს	,,სთ''+0,5 სთ	სამედიცინო უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი

	დაზარალებულთათვის სამედიცინო დახმარების გაწევა		
15	უზრუნველყოფილი იქნას ობიექტის პირადი შემადგენლობის უკან დაბრუნება	დაბინძურებული კერის ლიკვიდაციის შემდეგ	საგანგებო შტაბის უფროსი, სატრანსპორტო უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი შენობის/ობიექტის ხელმძღვანელობა

გ) ხანძრის (ან ნგრევების) შემთხვევაში

16	ობიექტიდან უსაფრთხო ადგილას გაყვანილი იქნას მასში მყოფი პირები	,,სთ''+0,3 სთ	საგანგებო შტაბის უფროსი შტაბის უფროსის მოადგილე მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის დარგში, სატრანსპორტო უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი, სურსათით და წყლით უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი
17	მოხდეს სახანძრო-სამაშველო ჯგუფის მიერ ჩასატარებელი სამუშაოების ორგანიზება, წარმოქმნილი დაზიანების კერების ლიკვიდაცია	,,სთ''+0,5 სთ	შტაბის უფროსი
18	სამედიცინო ჯგუფმა განახორციელოს დაზარალებულების დახმარება	,,სთ''+0,5 სთ	შტაბის უფროსი, სამედიცინო უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი
19	შემოწმდეს შენობა/ობიექტი და აღდგეს მისი ფუნქციონირება	ხანძრის (ნგრევის შედეგების) ლიკვიდაციის შემდეგ	შტაბის უფროსი

აღდგენა

წინამდებარე საგანგებო მართვის გეგმის მიხედვით გამოვლენილი რისკი №2-ის (ქარიშხალი) ფარგლებში გასატარებელი აღდგენის ღონისძიებები:

მას შემდეგ რაც სიტუაცია დასტაბილურდება და ადგილზე მუშაობა გახდება უსაფრთხო საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური და მერიის შესაბამისი სამსახურები იწყებენ აღდგენითი სამუშაოების შესრულებას.

1. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური იწყებს დატბორილი სარდაფებიდან წყლის ამოტუმბვას.
2. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური ადგენს შენობების საცხოვრებლად ვარგისიანობას მერიის შესაბამისი სამსახურის წარმომადგენელთან ერთად.
3. მუნიციპალური ორგანოების მიერ ხორციელდება გადახდილი/დაზიანებული შენობების, აგრეთვე მოსახლეობაზე მიყენებული ზარალის აღრიცხვა/შეფასება.
4. ხორციელდება მატერიალური სიკეთეების გამოტანა, დასუფთავება და გამოყოფილ ტერიტორიაზე შეგროვება.
5. მერიის სამსახურების და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ სტიქიის ადგილზე ხორციელდება გაწმენდითი სამუშაოები, ქვაღორღის, ნაშალი მასის, ჩახერგილობების გაწმენდა.

6. შპს „ხობი დასუფთავება და განათება“ და შპს „ხობის მუნიციპალიტეტის წყალმომარაგება“ იწყებს სანიაღვრე არხების გაწმენდას დაგროვილი ნაგვისგან და საფუძვლიანად ასუფთავებს დატბორილ ქუჩებსა და უბნებს.
7. გაწმენდით სამუშაოებთან ერთად იწყება სამუშაოები დაზიანებული კომუნიკაციების აღსადგენად ელექტროენერგიის, გაზის და წყლის მაგისტრალების აღდგენა-შემოწმება.
8. მერიის შესაბამისი სამსახურები უმოკლეს ვადებში უზრუნველყოფენ გადახდილი შენობების გადახურვითი სამუშაოების დაწყება/წარმოებას;